თბილისი | 11 ივნისი, 2020 წელი

თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრთა საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი № 1

სხდომას ესწრებოდნენ:

ზვიად მურადაშვილი, გიორგი ოქიტაშვილი, თამარ ლეკაშვილი, სალომე ჩიტიშვილი, ანა თოხაძე, დავით მახვილაძე, თამარ ტატანაშვილი, მირანდა მიქაძე, ცისანა გავაშელი.

დღის წესრიგი:

ა) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევა;

ბ) საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა;

გ) აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებზე კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხის განსაზღვრა, საარჩევნო კომისიისადმი განცხადების ფორმის დამტკიცება (*იხ. დანართი № 1*) და მისი განთავსება თსუ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <www.tsu.ge>.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

ა) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ზვიად მურადაშვილი — ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.

კენჭისყრის შედეგი:

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის წევრები. მომხრე: კომისიის ყველა წევრი.

ბ) საარჩევნო კომისიის მდივნად არჩეულ იქნა **გიორგი ოქიტაშვილი** — იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აპარატის უფროსი სპეციალისტი.

კენჭისყრის შედეგი:
საკითხთან დაკავშირებით გაიმართა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის წევრები. მომხრე: კომისიის ყველა წევრი.

გ) აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებზე კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით განისაზღვრა და დამტკიცდა საარჩევნო კომისიისადმი განცხადების ფორმა, ასევე, წარსადგენ დოკუმენტთა წინამდებარე ნუსხა:

1. განცხადება საარჩევნო კომისიის სახელზე (იხ. დანართი № 1);
2. მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) / სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლის დამადასტურებელი ცნობა.

კენჭისყრის შედეგი:
საკითხი იქნა განხილული და დამტკიცებული ყველა წევრის მიერ ერთხმად.

დამტკიცდეს:
არჩევნებზე კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხა და მისი განთავსება თსუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე: <www.tsu.ge>.

კომისიის თავმჯდომარე: ზვიად მურადაშვილი ----------

კომისიის მდივანი: გიორგი ოქიტაშვილი ----------

კომისიის წევრები:

1. თამარ ლეკაშვილი ----------
2. სალომე ჩიტიშვილი ----------
3. ანა თოხაძე ----------
4. დავით მახვილაძე ----------
5. თამარ ტატანაშვილი ----------
6. მირანდა მიქაძე ----------
7. ცისანა გავაშელი ----------

თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრთა საარჩევნო კომისიის 2020 წლის 11 ივნისის სხდომის 1-ლი ოქმის დანართი № 1:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარების მიზნით
შექმნილ საარჩევნო კომისიას

(სახელი, გვარი)

მცხოვრები ----------

საკონტაქტო ინფორმაცია(ტელ/ელ-ფოსტა) :----------

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩემი კანდიდატურა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ----------
---------- .

(ფაკულტეტი/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული)

თანდართული დოკუმენტები:

1. მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი ☐
2. ავტობიოგრაფია (CV) ☐
3. ცნობა სამუშაო ადგილიდან ☐

ვადასტურებ, რომ სხვა სამეცნიერო ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ მიკავია აკადემიური, ადმინისტრაციული ან სამეცნიერო თანამდებობა.

გვერდების რაოდენობა _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____ 2020 წელი